

2019-2020 სასწ. წლის მაგისტრატურის მისაღები მოთხოვნები

აკადემიური გუნდის დირიჟორობა

შეფასება ხდება 100 ქულიან სისტემაში; გამსვლელი ქულა - 81 და ზემოთ.

მისაღები გამოცდა სპეციალობაში ტარდება 2 ტურად.

პირველი ტური – საგამოცდო პროგრამის დირიჟორობა (ორი როიალის თანხლებით)

გამოცდაზე უნდა შესრულდეს 4 ნაწარმოები:

- ორი ნაწარმოები თანხლების გარეშე;
- ერთი ნაწარმოები - საგუნდო პოლიფონია (ნაწილი კანტატიდან, ორატორიიდან ან მესიდან);
- ერთი ნაწარმოები - საოპერო სცენა.

შესასრულებელი პროგრამის ხანგრძლივობა - არანაკლებ 25-30 წუთისა.

აბიტურიენტს მოეთხოვება:

1. საგამოცდო პროგრამის დირიჟორობა ზეპირად;

პროგრამა:

- ზ. ფალიაშვილი ოპ. "აბესალომ და ეთერი" - გუნდები მეორე მოქმედებიდან
- ი. ჰაიდნი - ორატორია "წელიწადის დრონი" - "სეტყვა"
- ს. ტანევი - "მზის ამოსვლა"
- დ. შოსტაკოვიჩი - "ათი პოემა" - "9 იანვარი"

- ზ.ფალიაშვილი, ოპერა "აბესალომ და ეთერი" - გუნდები მესამე მოქმედებიდან
- ვ. ა. მოცარტი, "რეჟიემი", I ნაწილი
- ნ. სულხანიშვილი, "გუთნური"
- კ. პროსნაკი, "ქარიშხალი ზღვაზე"

- მ. მუსორგსკი ოპ. "ბორის გოდუნოვი" პროლოგის I სურათი
- ს. ტანევი - კანტატა "იოანე დამასკელი" I ნაწილი
- კ. ჟანეკენი - "ჩიტების გალობა"
- შ. მშველიძე - "ფშაური"

2. გასაუბრება საგამოცდო პროგრამაში ჩართული ნაწარმოებების ირგვლივ;

3. a cappella საგუნდო ნაწარმოებების;

4. პარტიტურის დაკვრა ფორტეპიანოზე – ნოტებით,

5. საგუნდო პარტიტურის სიმღერა – ნოტებით.

მისაღებ გამოცდაზე წარმოდგენილ სადირიჟორო პროგრამაში შესაძლებელია განმეორდეს სამი ნაწარმოები ბაკალავრიატში განვლილი კურსიდან.

მეორე ტური – გუნდთან მუშაობა

აბიტურიენტს გამოცდამდე ერთი საათით ადრე ეძლევა უცხო ნაწარმოები – a capella შერეული გუნდი. გუნდთან მუშაობისათვის გამოყოფილია 30 წუთი.